აგროთანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამა

საქართველოს სოფლის მეურნეობა
28 ივლისი, 2026

აგროთანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამა 2026 წლის 1 ივლისს ამოქმედდა. განახლებული პროგრამა სახელმწიფო თანადაფინანსებას ერთიან ჩარჩოში აქცევს და ამავე დროს ამკაცრებს პროექტების შესრულების, მონიტორინგის, აუდიტისა და აღრიცხვის მოთხოვნებს.

ჩვენი შეფასებით, ცვლილება გრძელვადიანად პოზიტიურია - გაზრდის პროექტების ხარისხს, სექტორის კორპორატიზაციას და სახელმწიფო რესურსების მიზნობრივ გამოყენებას. თუმცა, გრანტის ჩარიცხვის ვალდებულებების შესრულების შემდეგ ჩარიცხვამ და აგროკრედიტის სუბსიდიის შემცირებამ, შესაძლოა შეანელოს საინვესტიციო აქტივობა, განსაკუთრებით მცირე და საშუალო პროექტებში.

ცხრილი 1: აგროთანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამა - ძირითადი ცვლილებები

პარამეტრი	ძველი მოდელი	მოქმედი მოდელი
დაფინანსების მოდელი	პროექტის ცალკეული კომპონენტების დაფინანსება (ნერგები, ირიგაცია, ტექნიკა და ა.შ.)	პროექტის ერთიანი თანადაფინანსების სისტემა
მინიმალური ინვესტიცია	კომპონენტების მიხედვით განსხვავებული	100,000 ლარი მთლიანი პროექტისთვის (რამდენიმე გამონაკლისით)
მაქსიმალური გრანტი	განსხვავებული ქვეკომპონენტებისა და პროექტის გეგმის მიხედვით.	მაქს. 2.0 მლნ ლარი ან ინვესტიციის 50% უმეტეს პროექტებზე, გადამამუშავებელ/შემნახველ პროექტებზე - 40% (ორივე შემთხვევაში პრეფერენციულ პროექტებზე ემატება 5%)
აგროკრედიტის სუბსიდია	პროცენტის 11%-იანი თანადაფინანსება მაქსიმუმ 48 თვით	რეფინანსირების განაკვეთით პროცენტის თანადაფინანსება (2026 წლის ივლისის მდგომარეობით - 8.25%), მაქს. 36 თვე; შედის პროექტის საერთო თანადაფინანსების ლიმიტში.
გრანტის დამტკიცება	პროექტის დაწყებამდე	რეესტრში დარეგისტრირების წინაპირობით და პროექტის დამტკიცების შემდეგ
გრანტის ჩარიცხვა	ძირითადად პროექტის დაწყების ან განხორციელების ეტაპზე, პირობები განსხვავდებოდა პროგრამების მიხედვით.	თანხა გაიცემა ვალდებულებების შესრულების, აუდიტისა და ადგილზე კონტროლის შემდგომ
მონიტორინგი	მონიტორინგი და პროფილის შენარჩუნების ვალდებულება არსებობდა ცალკეულ პროგრამებში და კომპონენტებში.	სააგენტო ახორციელებს ადგილზე და დოკუმენტურ მონიტორინგს. პროექტის ფარგლებში შექმნილი და დაფინანსებული ქონების გასხვისება და პროექტის პროფილის შეცვლა თანადაფინანსების მიღებიდან 3 წლის განმავლობაში იზღუდება.
ფასები და ტექნიკური პირობები	ტექნიკური მოთხოვნები და ფასობრივი ლიმიტები არსებობდა ცალკეულ პროგრამებში	ტექნიკური მოთხოვნები და მაქსიმალური ღირებულებები ერთიან პროგრამულ ჩარჩოშია მოქცეული

წყარო: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, გალტ & თაგარტი
შენიშვნა: დეტალური აღწერა იხილეთ დანართში მე-3-4 გვერდზე.

პოტენციური გავლენა სექტორზე

პოზიტიური ეფექტები:

- **გაიზრდება განხორციელებული პროექტების ხარისხი და გაუმჯობესდება სახელმწიფო რესურსების მიზნობრივი გამოყენება.** მონიტორინგის გამკაცრება გაზრდის პროექტის შესრულების მოტივაციას, გააუმჯობესებს გამჭვირვალობას და შეამცირებს შეუსრულებელი პროექტების რისკს, რაც ძველი დაფინანსების მოდელის ერთ-ერთი ხარვეზი იყო.
- **მოქმედი მოდელი სექტორს გამსხვილებისკენ უბიძგებს, რაც პროდუქტიულობას გაზრდის.** ახალი თანადაფინანსების მოდელი მოიზიდავს საშუალოდ უფრო მსხვილ ინვესტორებს, რადგან მათ კაპიტალის მობილიზების, საბანკო დაფინანსების მოზიდვისა და მომწოდებლებთან მოლაპარაკების უკეთესი შესაძლებლობა აქვთ. როგორც ცხრილი 2-დან ჩანს (ატმის ბაღების მაგალითზე), აგრობიზნესში სამუშაო ძალის პროდუქტიულობა დაახლოებით 1.6-ჯერ, ხოლო მოსავლიანობა 6-ჯერ აღემატება შინამეურნეობების შესაბამის მაჩვენებლებს. შესაბამისად, ბიზნესის წახალისება და სოფლის მეურნეობის წარმოებაში მისი წილის ზრდა (2024 წელს სოფლის მეურნეობის სექტორის ბრუნვაში ბიზნესის წილი 12.8%-ს შეადგენდა) ხელს შეუწყობს სექტორის პროდუქტიულობის ზრდას.
- **აღრიცხვიანობის გაუმჯობესება რეფორმის ერთ-ერთი მთავარი გრძელვადიანი სარგებელია.** ფერმერთა რეესტრი და ციფრული მონაცემთა ბაზები უკეთეს საფუძველს შექმნის სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებისთვის, საბანკო შეფასებისა და კერძო საინვესტიციო გადაწყვეტილებებისთვის.

გამოწვევები:

- **ინვესტიციების ეფექტიანობა მოიმატებს ინვესტიციების ჯამური მოცულობის შესაძლო კლების ხარჯზე.** მოქმედი მოდელის ფარგლებში, ინვესტორს პროექტის დაფინანსება თვითონ უწევს. გრანტი მხოლოდ ვალდებულებების შესრულების, აუდიტისა და ადგილზე კონტროლის შემდეგ ირიცხება (მაქსიმუმ 18-24 თვე). ამასთან, აგროკრედიტის პროცენტის სუბსიდია შემცირდა და 11%-დან სებ-ის რეფინანსირების განაკვეთზე (8.25% ივლ-26) გადავიდა, ხოლო პერიოდი 48 თვიდან 36 თვემდე შემცირდა. ამ ყოველივემ შესაძლოა ინვესტიციაზე უკუგება შეამციროს, განსაკუთრებით დაბალი საწყისი კაპიტალის შემთხვევაში. რამაც, საბოლოო ჯამში შესაძლოა ჯამური საინვესტიციო აქტივობა შეანელოს.

გრაფიკი 1: ბიზნესის წილი სოფლის მეურნეობის სექტორის ბრუნვაში



წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი
შენიშვნა: ბიზნესის წილი გულისხმობს პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მწარმოებელი საწარმოების ბრუნვის წილს სოფლის მეურნეობის მთლიან გამოშვებაში

ცხრილი 2: სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობა და მოსავლიანობა

	ბიზნესი	შინამეურნეობა
სამუშაო ძალის პროდუქტიულობა '000 ლარი/კაცზე	28	17
ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობა, ტონა/ჰა	30	5

წყარო: საქსტატი, FAO, გალტ & თაგარტი
შენიშვნა: ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობა დათვლილია ატმის მაგალითზე, ხოლო სამუშაო ძალის პროდუქტიულობა მთლიანი სოფლის მეურნეობის სექტორისთვის

დანართი 1: რეფორმის დეტალური აღწერა

ქვემოთ აღწერილია რეფორმის დეტალები, რომლებიც მოკლედ შეჯამებული იყო ცხრილ 1-ში ზემოთ.

- **უქმდება თანადაფინანსების ძველი მოდელი, ახალი პროგრამა ერთიან ჩარჩოში აერთიანებს 5 ძირითად მიმართულებას -** 1) პირველადი წარმოების თანადაფინანსებას, 2) გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსებას, 3) შეღავათიან აგროკრედიტს ძირითადი საშუალებებისთვის, 4) შეღავათიან აგროკრედიტს საბრუნავი საშუალებებისთვის და 5) სასაკლაოს მოწყობის თანადაფინანსებას.
- **მინიმალური საინვესტიციო მოცულობა ძირითად შემთხვევაში 100,000 ლარია.** მიმართულებების მიხედვით შეიძლება იყოს გამონაკლისებიც, მაგალითად მსხვილფეხა მეცხოველეობის ფერმის გაფართოების შემთხვევაში ინვესტიციის მინიმალური მოთხოვნა 50,000 ლარია. მაქსიმალური საინვესტიციო მოცულობა შეზღუდული არ არის, დაფიქსირებულია მხოლოდ სახელმწიფოს დახმარების თანხა.
- **სახელმწიფო თანადაფინანსება მიმართულებების მიხედვით განსხვავდება.** პირველადი წარმოებისა და სასაკლაოს მიმართულებებში სახელმწიფო თანადაფინანსება პროექტის ღირებულების მაქსიმუმ 50%-ს შეადგენს, ხოლო გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოებისთვის - 40%-ს. პრეფერენციულ შემთხვევებში, ანუ მაღალმთიანი დასახლებებისთვის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის და გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებისთვის თანადაფინანსება 5 პროცენტული პუნქტით მეტია. ხშირ შემთხვევაში მოქმედებს 2.0 მლნ ლარის ლიმიტი, თუმცა ცალკეულ მიმართულებებზე განსხვავებული მაქსიმალური ზღვრებია.
- **თანადაფინანსება ჩაირიცხება მას შემდეგ, რაც ბენეფიციარი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს შეასრულებს.** შესრულება უნდა დადასტურდეს აუდიტორული დასკვნით და სააგენტოს ადგილზე კონტროლით. აუდიტის საფასური შეიძლება დაფინანსდეს პროექტის ღირებულების 1%-მდე, მაქსიმუმ 20,000 ლარით, საერთო თანადაფინანსების ლიმიტის ფარგლებში.
- **პროექტის შესრულების ვადა** განსაზღვრულია ხელშეკრულების გაფორმებიდან მაქსიმუმ 18 თვით, ხოლო გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოებისთვის - 24 თვით. ჩვენი შეფასებით, ეს ვადები ადეკვატურია.
- **რეფორმა აძლიერებს პროექტების კონტროლისა და მონიტორინგის მექანიზმს.** სააგენტო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში უფლებამოსილია განახორციელოს ადგილზე კონტროლი და დოკუმენტური მონიტორინგი.
- **იზღუდება პროექტის ფარგლებში დაფინანსებული ქონების გასხვისება და პროექტის მიზნობრიობის ან პროფილის შეცვლა თანადაფინანსების მიღებიდან 3 წლის განმავლობაში.**
- **ფერმერთა რეესტრში რეგისტრაცია თანადაფინანსების მისაღებად სავალდებულო გახდა.** შეიქმნა ფერმერთა რეესტრი, რომლის მიზანია რეგისტრაციის პროცესის გამარტივება და მონაცემთა ბაზების შექმნა.

- **სესხის პროცენტის თანადაფინანსება პროექტის საერთო თანადაფინანსების ლიმიტში ითვლება.** სააგენტო ძირითადი საშუალებების სესხების პროცენტს სებ-ის რეფინანსირების განაკვეთის (2026 წლის ივლისის მდგომარეობით 8.25%) ოდენობით, მაქსიმუმ 36 თვის განმავლობაში დააფინანსებს.
- **მრავალწლოვანი ბაღების თანადაფინანსების მიმართულებით, ბაღი უნდა მოეწყოს მინიმუმ 1 ჰა ფართობზე.**
- **პროექტის პარამეტრები ერთიან პროგრამულ ჩარჩოში დეტალურად არის გაწერილი.** დასაშვები ხარჯები, ტექნიკური მახასიათებლები და მაქსიმალური ღირებულებები განისაზღვრება შესაბამისი კომპონენტის/ქვეკომპონენტის მიხედვით, რაც პროექტების ფინანსურ შეფასებას უფრო სტანდარტიზებულს ხდის.

  პროგრამის ფარგლებში შესასყიდი ძირითადი საშუალებები - მათ შორის დანადგარი, აღჭურვილობა და ტექნიკა უნდა იყოს ახალი და გამოუყენებელი.

მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს Lion Finance Group ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

მარიამ ჩახვაშვილი
სექტორის უფროსი | mchakhvashvili@gt.ge

დაჩი მუჯირიშვილი
უფროსი ანალიტიკოსი | dmujirishvili@gt.ge

გალტ & თაგარტი

მისამართი: პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0108, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: research@gt.ge